საქართველოს მთავრობის განკარგულება

№983 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შპს „სანტასათვის“ იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „სანტას“ (ს/კ: №243120010) იჯარის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართი №2-ით გათვალისწინებული უძრავი ნივთები, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირით 33 000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარად.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ნივთების იჯარის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 იანვრამდე, ამ განკარგულების დანართი №2-ით გათვალისწინებული უძრავი ნივთების ფართობის არანაკლებ 70%-ზე, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, ერთწლიანი ან/და მრავალწლიანი კულტურების მოყვანა/გაშენება;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 იანვრამდე, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, არანაკლებ 400 000 (ოთხასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

გ) პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 იანვრამდე, შპს „სანტას“ საკუთრებაში არსებულ, წალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ სანთაში მდებარე 16 002 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული ფერმ(ებ)ის შენობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №85.13.21.006) ფართის (არანაკლებ 700.00 კვ.მ) სარემონტო სამუშაოების შესრულება;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2017 წლის 1 იანვრამდე, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

ე) ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველი წლის დეკემბრის თვეში, ამავე განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ნივთების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა ამ განკარგულების დანართი №1-ის შესაბამისად;

ვ) ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ, ამავე განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ნივთების ნიადაგის ნაყოფიერებისა და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების გამოკვლევის მიზნით, ნიადაგის ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქონების საიჯარო ქირის ოდენობის გადახედვა შესაძლებელია, განხორციელდეს მესაკუთრის მიერ, ამავე განკარგულების გამოცემიდან 5 (ხუთ) წელიწადში ერთხელ.

4. ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე შპს „სანტამ“ წარადგინოს ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინვესტიციის საერთო ოდენობის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

5. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი N1

ინფორმაცია

საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობზე პირველადი პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია

ფიზიკური/იურიდიული პირი	
რეგისტრაციის თარიღი/საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ს/ს სავარგული სულ (მიუთითეთ ფართობი, სარწყავი/ურწყავი), მათ შორის:	
ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (კულტურების და სახეობების მიხედვით) --- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	
მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (კულტურების და ჯიშების მიხედვით) --- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	

სილოსის და ცხოველთა საკვების წარმოება (ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები/ბალახები) ნათესი ფართობები და წარმოება ---------- წარმოებული პროდუქციის მოხმარება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ----------

საძოვარი (მიუთითეთ ფართობი და პირუტყვის (მსხვილფეხა (მათ შორის ფური)/წვრილფეხა) რაოდენობა) ---------- ---------- წარმოებული პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა პროდუქციის სახეობების მიხედვით (მათ შორის ცოცხალი პირუტყვი) და გასაღების ბაზარი) ---------- ----------
რა სახის ღონისძიებები გაატარეთ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით? ---------- ----------
გაიარეთ თუ არა კონსულტაციები? (ვისთან) ----------

დანართი N2

N	საკადასტრო კოდი	მისამართი	უძრავი ქონების აღწერა
1	85.13.21.163	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 5.6346 ჰა მიწის ნაკვეთი
2	85.13.21.162	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 5.2005 ჰა მიწის ნაკვეთი
3	85.13.21.070	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 17.2033 ჰა მიწის ნაკვეთი
4	85.13.21.058	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 19.0680 ჰა მიწის ნაკვეთი
5	85.13.21.079	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 1.9395 ჰა მიწის ნაკვეთი
6	85.13.21.115	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 3.5995 ჰა მიწის ნაკვეთი
7	85.13.21.057	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 11.6729 ჰა მიწის ნაკვეთი

8	85.13.21.106	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 2.2 ჰა მიწის ნაკვეთი
9	85.13.21.098	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 0.8 ჰა მიწის ნაკვეთი
10	85.13.21.117	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8.1092 ჰა მიწის ნაკვეთი
11	85.13.21.069	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8.3646 ჰა მიწის ნაკვეთი
12	85.13.21.124	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 9.9178 ჰა მიწის ნაკვეთი
13	85.13.21.068	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 4.8704 ჰა მიწის ნაკვეთი
14	85.13.21.080	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 17.2687 ჰა მიწის ნაკვეთი
15	85.13.21.088	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 1.1292 ჰა მიწის ნაკვეთი

16	85.13.21.123	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 12.2 ჰა მიწის ნაკვეთი
17	85.13.21.116	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი)10.4615 ჰა მიწის ნაკვეთი
18	85.13.21.250	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი)1.3791 ჰა მიწის ნაკვეთი
19	85.13.21.249	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 5.1388 ჰა მიწის ნაკვეთი
20	85.13.21.252	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8.6237 ჰა მიწის ნაკვეთი
21	85.13.21.251	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 1.2876 ჰა მიწის ნაკვეთი
22	85.13.21.248	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სათიბი) 15.8156 ჰა მიწის ნაკვეთი
23	85.13.21.247	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სათიბი) 1.0144 ჰა მიწის ნაკვეთი

24	85.13.21.255	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 0.9814 ჰა მიწის ნაკვეთი
25	85.13.21.056	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 0.9834 ჰა მიწის ნაკვეთი
26	85.13.21.246	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სათიბი) 2.4277 ჰა მიწის ნაკვეთი
27	85.13.21.254	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი)1.8748 ჰა მიწის ნაკვეთი
28	85.13.21.256	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სანთა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 2.0405 ჰა მიწის ნაკვეთი
29	85.13.21.125	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინწყარო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 15.7970 ჰა მიწის ნაკვეთი